სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№ 134 § 1 30.08. 2021 წელი

საშემოდგომო სემესტრის შიდა საუნივერსიტეტო და

დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა მობილობისათვის პროცედურების წარმართვის შესახებ

2021-2022 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის შიდა საუნივერსიტეტო მობილობისა და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა მობილობისათვის პროცედურების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

შიდა საუნივერსიტეტო და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობისათვის პროცედურები განხორციელდეს უმაღლესი განათლების საფეხურის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესახებ" და აწსუ- ს 2021 წლის 21 ივლისის #47 (20/21) **სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების წესის** მიხედვით და ამ მიზნით გამოყოფილი იქნას ვაკანტური ადგილები.

1. #47 (20/21) დადგენილებით ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის უფლება მიეცეს სტუდენტებს სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების აღნიშნულ პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი.

2. ვაკანტური ადგილების დაკავება მოხდეს კონკურსის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით. შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;

3. 2020 წლამდე ჩარიცხულ კონკურსანტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული არჩევითი დისციპლინა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ ერთ-ერთ არჩევით დისციპლინას, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტებს მობილობის უფლება ექნებათ მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელიც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და ინტეგრირებული პროგრამების სტუდენტებისათვის მობილობის პროცესში გათვალისწინებულ იქნას ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობები.

5. შიდა საუნივერსიტეტო და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობისათვის განცხადებების მიღება წარიმართოს 2021 წლის 1 სექტემბრიდან 8 სექტემბრის ჩათვლით, მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორში (ოთახი №1106) ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.

6. მობილობის მსურველმა დადგენილი ფორმის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
   ა) სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდითა და ხელმოწერით;
   ბ) ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;
   გ) ცნობა ფინანსური სამსახურიდან საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ფინანსური ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
   დ) პირადობის მოწმობის ასლი.

7. დამატებით (minor) პროგრამებზე შიდა მობილობის მსურველმა პირებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ: ა) პირადობის მოწმობის ასლი; ბ) სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული სასწავლებლის ბეჭდითა და ხელმოწერით;

8. შიდა საუნივერსიტეტო და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობისათვის განცხადებების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება საფაკულტეტო კომისიებმა უზრუნველყონ 2021 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით.

9. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. კორძაძე) უზრუნველყოს შიდა საუნივერსიტეტო მობილობის და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების მომზადება 2021 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

10. კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების და დამატებით (minor) პროგრამებზე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანებების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორი პროფესორი როლანდ კოპალიანი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ასოც. პროფ. თეა კორძაძე

მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების

სექტორის უფროსი ასოც. პროფ. მათე ხვედელიძე